



# ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება



განკარგულება:გ-13.13210272

თარიღი:27/01/2021

## **ახალციხის მუნიციპალიტეტის მერისათვის, ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩაზე №124 შენობის (სპორტული კომპლექსი) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩაზე №124 შენობის (სპორტული კომპლექსი) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებაზე (სახელმწიფო შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1 385 540 (ერთიმილიონ სამასოთხმოდახუთიათას ხუთასორმოცი) ლარი).
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღეიშვილის ქ.№62.)

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

